საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის № 198 კვირა, მარტის 18 (31) 1918 წ. № 198

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

გერმანელები დასავლეთის ფრონტზე შეტევას განაგრძობენ. სკარპთან მათ ფრანგების მოწინავე ხაზი გაარღვიეს.—უკანასკნელ დღეებში გერმანელებმა ხელთ ჩაიგდეს 70 ათას ასი ზარბაზანი.—არტაანში ოსმალეთიდან ჩამოსული მოლები მოუწოდებენ ხალხს ქრისტიანების ამოსაჟლეტად.—ჩაქვის ხეობაში აჭარლები ხალასთან შეაჩერეს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ყ. [illegible] „ნადეჟდა“) ბარათის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, სალამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, ,,სახალხო საქმის“ რედაქციას.

გიორგი, ანდრია, გაბრიელ, მიხეილ და ილია მიხეილის ძენი ზენაშვილები ცოლ-შვილითურთ, ნინო მიხეილის ასული და ვასილ ზაქარიას ძე ზარნოვები შვილებითურთ და თამარ მიხეილის ასული ელიოზიშვილისა გამოუთქმელი მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დილით 17 მარტს მშვიდად გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და უზომოდ საყვარელი დედა და დიდედა

ელისაბედ ლაზარეს ასული ზენაშვილისა

პანაშვიდი 18 მარტს. საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე (რკინის გზის ქუჩა სახ. № 11 ბუზიაშვილისა). გამოსვენება ორშაბათს 19 მარტს დილის 9 საათზე სომეხ-გრიგორიანთა ღვთისმშობლის ეკლესიაში (მიხეილის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის ახლოს) და იქიდან დასაკრძალავად კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. 322

ქართული კლუბი დილის წარმოდგენა

კვირას 18 მარტს 1918 წ.

მსახიობი ქალი ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. დამსახურებულ მსახიობთა ვალ. გუნიას და შალვა დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა

და-ძმა

5 მოქ. 6 ს. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქ.ქ. ნ. ჯავახიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ბ.ბ. ვ. გუნია, შ. დადიანი, ვ. ზარველი, ი. ქეიძე, პ. ფრანგიშვილი, ვ. მატარაძე, ი. კობახიძე, სარაული ი. თარალაშვილი და სხვანი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

დასაწყისი დილის სრულ 12 ს. 1071 რეჟისორი შალვა დადიანი.

ინიციატორთა ჯგუფი და ვაჭარ-მრეწველთა დეპუტატთა საბჭოს აღმას. კომიტეტი

იწვევს ყველა ხელოსანს, ვაჭარს და მრეწველს კვირას, დილის 11 საათზე საზოგადო

მიტინგზე

რომელზედაც მსჯელობა იქნება ქვეყნის დაცვაში მონაწილეობაზე ამიერკავკასიის საზღვრებზე საომარი მოქმედების დროს. მიტინგი დანიშნულია ხელოსანთა კლუბში (მიხეილის პრ.) 1113

სახლის კომიტეტების საერთო კრება

კვირას, 18 მარტს, დილის 11 საათზე ქალაქის გამგეობის საერთო დარბაზში იწვევენ სახლებისა, უბნებისა და რაიონულ კომიტეტების წარმომადგენლებს 1, 2, 3 და 4 სამილიციო ნაწილებისას. განსახილველია პურის ფასის მომატებისა და მოქალაქეთა კატეგორიებად დაყოფის საკითხი, რის მიხედვითაც მცხოვრებნი სხვა და სხვა ფასებში მიიღებენ პურს.

ტფ. ქალ. გამგეობასთან არსებული სასურსათო განყოფილება.

1115

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლოს, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური სამზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—90.

დღეს 18 მარტს გაიმართება

ორი სადღესასწაულო წარმოდგენა

ახალი გასტროლიორების მონაწილეობით გასტროლი იაპონური დასისა იამადასონით სათავეში, მფრინავ „ადამიან-ბუზებისა“ დე-ლა-კაზოს კლოუნები ძმ. ვინჩენკო.

დღისით „ბავშვების დღესასწაული“ ყველა ახალი არტისტის მონაწილეობით დღის წარმოდგენა დაიწყება 1 საათზე, საღ. 8 საათზე. დასასრ. 11 ს. 326

განცხადება

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ 25 მარტს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია

წევრთა წლიური კრება.

წესდების § 29 მუხლის თანახმად ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველია:

1917 წლის ანგარიში, 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ზოგიერთი მუხლის შეცვლა, მიმდინარე საქმეები, უნდა მოხდეს აგრეთვე არჩევნები: მამასახლისებისა, ამათ კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა, წევრებისა და მუდმივ მოსიარულეთა პირებისა. 1071

გამზადებული ფეხსაცმელი და სალანჩე ტყავი

საოჯახო კომიტეტებისთვის

სასურსათო განყოფილება, ქალაქის გამგეობასთან არსებული, წინადადებას აძლევს ყველა სახლის კომიტეტებს და სხვა დიდ სახლების ორგანიზაციებს, დაუყონებლივ გამოარკვიონ თავიანთი მოთხოვნილება გამზადებულ ფეხსაცმლებისა და სალანჩე (ქიროს) ტყავისა და მიაწოდონ ცნობა ამის შესახებ ტყავეულობის ბიუროს (ბებუთოვისა და რტიშჩევის ქუჩების კუთხე) და აგრეთვე შეიტანონ დაუყონებლივ განსაზღვრული თანხა დანიშნულ ბიუროში ტყავეულობის შესაძენად.

ტფილისის ქალაქის გამგეობასთან არსებული სასურსათო განყოფილება

1114

მეხუთე უბნის მოქალაქეებს.

ორშაბათს, 19 მარტს, ნაშუადღევის 5 საათზე, მეხუთე სამილიციო ნაწილში, სამოქალაქო სკოლის შენობაში, სურბ სარქისის ქუჩაზე დანიშნულია

სახლის კომიტეტების და მეხუთე უბნის ყველა მცხოვრებლების საერთო კრება.

განსახილველია საკითხი პურის ფასის მომატებისა და მოქალაქეთა კატეგორიებად დაყოფა, რომლის მიხედვით მცხოვრებნი სხვა და სხვა ფასში მიიღებენ პურს. მოხსენებას ქალაქის სასურსათო მდგომარეობის შესახებ გააკეთებს ქალაქის გამგეობის წევრი დ. მ. პოპოვი. რადგან საკითხი ფრიად სერიოზულია, მოქალაქეთ ვთხოვთ გამოცხადდნენ.

ტფილისის ქალაქის გამგეობასთან არსებული სასურსათო კომიტეტი

1116

ქართველთა ცენტრალური

სამხედრო კომიტეტი იწვევს მომღერალთ

(ქალ-ვაჟთ)

თვიურის ჯამაგირით

80—100 მ. თვითეულს.

ხმის გამოცდისთვის მსურველნი უნდა მიბრძანდნენ სამხედრო კავშირის ბინაზე, ქართულ კლუბში 12—2 ს. და 5—7 საღ.

გუნდის ლოტბარად მოწვეულია კომპოზიტორი ნ. პ. სულხანიშვილი. 328

სამტრედიის ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოების

გამგეობა

აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარე წლის **31 მარტს, დილის 10 საათზე, სამტრედიის საკრებულოს დარბაზში დანიშნულია მორიგი წლიური**

წევრთა კრება, შემდეგი კითხვების განსახილველად:

1. 1917 წლის მოქმედების ანგარიშის განხილვა—გამგეობის მოხსენებითურთ.
2. განხილვა და დამტკიცება 1918 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა.
3. არჩევნები საბჭოს 2 დირექტორის (წესდ. § 44) და 2 ახლად ასარჩევის გამგეობის 1 წევრისა (წესდ. § 53) და სარევიზიო კომისიის სამი წევრის და მათი კანდიდატებისა (წესდ. § 70).
4. 20% საწევრო გადასახადის მაგიერ იქნეს შემოღებული 10%-ისა.

თუ ამ დანიშნულ დღეს არ გამოცხადდება წევრთა კანონიერი რაოდენობა, მაშინ მეორე კრება 15 აპრილს ზემო დანიშნულ ადგილსა და საათზე; ყოველივე გადაწყვეტილება ამ უკანასკნელ კრებაზე იქნება კანონიერი, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს (წესდ. § 35). 1109

აგარაკი წაღვერი

(ბაკურიანის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

პანსიონი ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღლობ და განცალკევებულ სუფთა ადგილას, ფიჭვ ნაძვნარში, ყოველივე მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება ექიმი, არის საგანგებოდ გამოყვანილი წყაროს წყალი. არის **ვანები, პიანინო და სხვ...** სახლიდან მოსჩანს საუცხოვო სანახაობა,..

აგრეთვე წაღვერში მომდინარეობს **მეტად სასარგებლო** მჟავე (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება თვით წაღვერში: Цагвери (черезъ Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили).

ტფილისი, 18 მარტი 1918 წ.

სიკვდილი ეროვნულ საბჭოებს!

ოთხი თვე შესრულდა რაც საქართველოში მომქმედ ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჯგუფების სურვილით დაარსდა ეროვნული საბჭო. ამ ხნის განმავლობაში საბჭოს ცხოვრების ფურცლებში ერის გრძნობათა სხივით დაარსების დღეები თუ ჩაითვლება შემოსილად, როდესაც ყოველი ქართველი თავ მომწონეთ და აღფრთოვანებით ატარებდა ეროვნული თავისუფლების ემბლემას — საქართველოს ეროვნულ დროშას.

თვით საქართველოში ამ ხნის განმავლობაში დიდი ცვლილება მოხდა. ეკონომიური კრიზისი გამწვავდა, საზოგადოებრივი მდგომარეობა გამწვავებულია, ერის შეიარაღებული ძალა შინაური ანარქიის მოსპობას უნდება, ხოლო სამშობლოს საზღვრებს გახელებული მტერი ემუქრება ქალაქების ხელში ჩასაგდებად.

არასოდეს არ ყოფილა მძიმე ჩვენი მდგომარეობა ისე, როგორც დღეს არის. ეროვნული საფრთხე, სამშობლოს ინტერესი ფარავს ყოველ სხვა ინტერესს, დღეს ერის ყველა ძალის თავის მოყრა და მობილიზაცია საჭიროა და ასეთს მდგომარეობაში ჩვენში ისეთი სახელმწიფოებრივი მდგომარეობაც არ შეიქმნა და არ არის, რომელიც ღირსეულად დაიცავდა ერის ინტერესებს. ოთხი თვის წინად, როდესაც საქ. ეროვნული საბჭო დავარსეთ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეროვნული პრინციპი ერთად ერთი პრინციპია გართულებულ მდგომარეობის მომგვარებელი, მაგრამ ეს პრინციპი მალე მივეცით დავიწყებას და კვლავ დავადექით ათასჯერ გამტყუნებულ ცენტრალიზმის აზროვნებას. მთელი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ცენტრალიზმს ვქადაგებდით და შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ ხნის განმავლობაში არაფერი ისეთი არ გაკეთებულა, რომლის ნაყოფი დღეს იწვნიდეს ჩვენს ძლიერებას. დღეს ისეა გატიტვლებული ამიერკავკასიის ფრონტი, როგორც არასოდეს ყოფილა, ყველაზე დიდი საკითხი კი სწორედ ეს იყო და ამ ერთთავრის საქმეს ვერაფერი გაუკეთა ამიერკავკასიის ცენტრალურმა ორგანოებმა. ერთი წლის პრაქტიკა ჩვენთვის საკმაო უნდა ყოფილიყო ამ პრინციპის უკუგდებისათვის. დღესაც, როდესაც ვიმყოფებით განწირულების ჟამის წინაშე ისევ და ისევ ეროვნულ დემოკრატიის შემოქმედებას თუ შეუძლია ერის ენერგიის მაქსიმუმის ამოძრავება, მაგრამ დახეთ უბედურებას! ამიერკავკასიის ცენტრი, რომელიც გახდა უნაყოფო მუშაობის და სისუსტის განსახიერებად სწორედ დღესაც დაჟინებით სდგას უარყოფილ ძველ აზროვნებაზე და მთავრობას მოსთხოვს ეროვნულ საბჭოების გაუქმებას, მათ სიკვდილს.

„იზვესტიას“ 17 მარტის ნომერში მოწინავეში, გარკვევით მოითხოვენ ეროვნულ საბჭოების გაუქმებას, პრინციპი რომელზედაც აგებულია ეროვნული საბჭო ერთად ერთი დადებითი და მისაღები პრინციპია.

ჩვენ არა თუ არ მოგვწონს დღევანდელი სახის ეროვნული საბჭო, თუ ასეთივე უძლურება დასჩემდა მას ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვითხოვოთ მისი გაუქმება და სიკვდილი, მაგრამ რასაკვირველია—არა „იზვესტიის“ ჩხავილის მიხედვით. ჩვენი ცენტრალისტები მოითხოვენ ეროვნულ საბჭოების გაუქმებას მის მოქმედებისათვის, ჩვენ კი მოვითხოვთ ამასვე უმოქმედობისათვის. ეროვნული საბჭო სჯობია მოშორდეს თვალთახედვის ჰორიზონტს თუ ის მეტ უნარს და სიცოცხლეს ვერ გამოიჩენს.

ეროვნულმა საბჭომ უნდა სთქვას უკანასკნელი სიტყვა თუ რა არის ის საქართველოში. თუ მეორე წერა-კითხვის და ქველმოქმედების საზოგადოებაა დეე იყოს ამაებად, მაგრამ თუ ის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ მიზნებს ისახავს, უნდა მოვითხოვოთ მისი განხორციელება და გაკეთება. განა დღეს შეიძლება მოცდა? ვინც დღეს არ ვარგა, ის არასოდეს ივარგებს, დღეს დაჭიმულ ძარღვების და დაუღალავ აზროვნების ხანაა, დღეს ბრძოლის და გადახალისება—შემოქმედების დროებაა.

ან დღეს, ან არასოდეს. ეროვნული საბჭოს დღეინდელი მოქმედება ეროვნულ პრინციპს კი არ გაამართლებს, სახელს კი არ მოუხვეჭს, მას დაასამარებს. ასეთი საბჭო სჯობია არ არსებობდეს. ან საქმე, ან სიკვდილი, ან სიცოცხლე და ბრძოლა, ან თავის განებება დიდი საქმეებისათვის.

ეროვნულმა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს დღევანდელი რთული მდგომარეობა მთელი ჩვენი ქვეყნისა და აშკარად სთქვას, სეიმს და ეხლანდელ მთავრობას არაბუნებრივი პოზიციები უჭირავსთ, რომ ტფილისში უნდა იყოს საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულება და ქართული მთავრობა, ხოლო არ უნდა იყოს რაღაც კომბინაცია და ქიმერა.

საქართველოს რესპუბლიკა, საქართველოს მთავრობა, საქართველოს დიპლომატია და საქართველოს ჯარი—აი მომენტის მოთხოვნილება, ეს დღეს ბევრს დაგვიანებულად შეიძლება ეჩვენოს, მაგრამ თუ რამე შეიძლება გაკეთდეს ხალხის საკეთილდღეოდ, შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ამ გზით. ეროვნული საბჭო ან ამ გზას უნდა დაადგეს ან და ყალბი ილუზია არ უნდა გაამეფოს ხალხში უგვანო არსებობით.

ნარკვევები

გაზეთი „რესპუბლიკა“ ე. გეგეჭკორის კაბინეტს ახასიათებს და სხვათა შორის სწერს:

„ე. გეგეჭკორმა მოახერხა და თავის კაბინეტში წარმომადგენლობა არგუნა ყველა სოციალისტურ მიმართულებას, გარდა სოციალისტ ფედერალისტებისა, რის გამოც ჩვენ გულწრფელად არ შეგვიძლიან სინანული არ გამოვსთქვათ, რადგანაც სოციალისტ ფედერალისტთა პარტია რევოლუციის დროს შესამჩნევლად გაიზარდა და უკანასკნელ დროს გავლენა მოიპოვა ქართველი ხალხის ფართო მასაში. ამ მიმართულების წარმომადგენლის ყოფნა კაბინეტში განამტკიცებდა მეგობრულ ურთიერთობას საქართველოს სოციალისტურ პარტიათა შორის, რაც ასე ძალიან ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას იმ დროს, როდესაც გარეშე პოლიტიკურ ჰორიზონტზე შავი ღრუბლები დაეშვა“.

გაზეთის სიტყვით, თუ ეს არ მოხდა, ამაში ბრალი ე. გეგეჭკორს კი არ მიუძღვის არამედ დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც ძალიან ბევრი ადგილი მოითხოვეს თავისთვის. ამასთანავე ერთად გაზეთი სურვილს გამოთქვამს, რომ ნაკლი ასე თუ ისე გამოსწორდეს.

სომხური პრესა

დაშნაკელების ორგანო „ჰორიზონი“ საზავო მოლაპარაკების შესახებ სწერს:

„ტფილისში გავრცელებული ხმები პეტროგრადის ცნობაზე არ გამართლდა. თითქოს გერმანიას არ ჰსურს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დარღვევა. გერმანელთა ჯარი შეჩერდა იქ, საიდანაც იწყება ოლქში შემოხაზული ახალი რუსეთი. და თუ ავსტრია-უნგრეთის ჯარი უკრაინაში შევიდა, ეს უკრაინის მთავრობის სურვილით აიხსნება.

„ამიერკავკასია, როგორც უკრაინას, არას დროს არ სცნობდა ბოლშევიკურ აჯანყებას და დამოუკიდებელი მართვა-გამგეობით სარგებლობდა ოქტომბრიდან. აქედან ცხადია, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულება არ შეიძლება სავალდებულო იყოს არც ჩვენთვის, არც ოსმალთათვის. როგორც ჩვენ, ისე ოსმალეთი თავისუფალნი ვართ და შეგვიძლია ახალი საზავო ხელშეკრულების დადება. ოსმალეთის მტკიცება, ჩვენ ბრესტის ხელშეკრულება უნდა აღვიაროთო, არაფერს არ ემყარება.

„ნაწილი ჩვენი დელეგაციისა ტფილისში დაბრუნდა სეიმიდან ახალი დირექტივების მისაღებად იმის გამო, რომ ოსმალეთმა უარყოფითი პოზიცია დაიკავა. ჩვენის ღრმა რწმენით ამიერკავკასიის სრულუფლებიანი ორგანო არ უღალატებს თავის დემოკრატიულ პრინციპებს.

„ერთის მხრით, ის დაამტკიცებს, რომ გულწრფელად ესწრაფვის მტკიცე ზავის ჩამოგდებას. ხოლო მეორეს მხრით არ უარჰყოფს რევოლუციის და ჩვენი მხარის საარსებო ინტერესების დაცვის ანდერძს.

ოსმალეთს ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს იმაში, რომ მომავალი დემოკრატიული ამიერკავკასია ოსმალეთის მიმართ არ აწარმოებს აგრესიულ პოლიტიკას და მისთვის არავითარ საფრთხეს არ დაამზადებს. წინააღმდეგ, ის ყოველთვის იმის ცდაში იქნება, რომ კეთილმეზობლურ ურთიერთობას დააწესებს ოსმალეთთან. ამიერკავკასიის განკარგულებაში არ არის ისეთი დიდი შეიარაღებული ძალა, როგორც ოსმალეთისაში, ხოლო ის ოსმალეთთან კავშირის დროს, ყოველთვის იხელმძღვანელებს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებით.

ამ გვარ პირობებში ბათომის, ყარსის და არტაანის მოთხოვნა ოსმალეთის მიერ ჰკარგავს თავის მოგერიებითი ხასიათს და გაბატონების საშუალებად იქცევა.

ტყვილად არ მიუღია მხედველობაში ოსმალეთს ის განწყობილება, რომელიც ამიერკავკასიაში შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ის პატივით მოეპყრობა ამიერკავკასიის მთლიანობასა და ხელშეუხებლობას. მან უნდა გაიგოს, რომ არ შეიძლება კულტურული განვითარების ძირითადი პირობები მოუსპოთ 7-8 მილიონიან ქვეყანას. შეუძლებელია ამიერკავკასიის დაქუცმაცება და მისი ეკონომიური მთლიანობის მოსპობა, და აგრეთვე სავაჭრო სამრეწველო გზების დახშობა.

„ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობის აუცილებელი პირობაა ამ ქვეყნის მთლიანობა. ბათომი სამნიშვნელო და ძვირფასია არა მხოლოდ ქართველობისათვის, არამედ სომხებისა და თათრებისათვისაც. ყარსის მნიშვნელობა იცის ყველა ერს, რომელიც თავისუფალ და ბრწყინვალე მომავლისაკენ მიისწრაფვის.

იმ დროს, როდესაც ამ სიმაგრეებს ამიერკავკასიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ოსმალეთის ინტერესების თვალსაზრისით ის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. ოსმალეთის ხელშია მრავალი ნავთსადგური შავი ზღვის სანაპიროებზე და ქვეყანაც მდიდარია სიმაგრეებით. საფრთხის თავიდან ასაცილებლად ის სრულებით არ საჭიროებს ახალ სიმაგრეებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამიერკავკასიის სეიმი მიიღებს ყველაფერ ამას მხედველობაში და დაავალებს თავის დელეგატებს განაგრძონ საზავო მოლაპარაკება სამართლიანი და ორი ქვეყნისათვის საპატიო ზავის ჩამოსაგდებად. [illegible] ამის გარეშე სრულებითაც არ იქნება ადგილი უთანხმოებას. იქნება საკითხი, რომელიც ეხება მცხოვრებთა პატივსა და უზრუნველყოფას ყოველგვარ საფრთხისაგან. საძირკველი ეყრება ერთა სოლიდარობას და იქნება მათი მომავალი. შემთხვევითი გარემოებანი და უმნიშვნელო გაუგებრობანი საბოლოოდ მოისპობა და ამიერკავკასია წარსდგება, როგორც მთლიანი ერთეული, ერთი ნების მატარებელი“.

ეროვნული საბჭოს მაჩანჩალა.

1917 წლის 19 თებერვალს საქართველოში მომქმედი ყველა პოლიტიკური პარტია ერთ რამეში არ სცდებოდა:—ის დღე ისტორიული დღე იყო, ყველამ ვსთქვით, რომ როგორც წინად, ძველად ვცხოვრობდით—ამიერიდან იგე ცხოვრება არ შეიძლება, რომ უნდა დავიწყოთ ახალი ხანა, ახალი ძალთა განწყობილება.

ყველა პარტიამ პირობა დავსდეთ, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო—საქართველოს განთიადის სიმბოლოა, ყრილობაზე კრინტიც არ დაძრულა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ.

ბედმა შეგვაერთა, გრძნობის ალმა გაიარა ჩვენს ტანში და დაქსაქსულმა ქართველობამ ერთი სული ამოვითქვით, ერთი ენა ამოვიდგით, ერთი ნაბიჯი გავაკეთეთ.

თვით ჩვენ, ეროვნულ მისწრაფების ძალები—ვდუმდით, გატაცების ტალღას სოციალ-დემოკრატია შეებოჭა და მათი გაყინული გრძნობები საოცრად აიშალნენ: ჩვენ რუსეთიდანაც მოვითხოვთ საქართველოს ავტონომიასო—გაიძახოდნენ ისინი.

არავინ დაივიწყებს იმ დღეებს, ერის ცხოვრებაში 19 ნოემბრისთანა მომენტებს ვერავითარი ჰეროსტრატე ვერ მოსპობს. მაგრამ დღეს, როდესაც ისევ იმ 19 ნოემბრის შუაგულ კრებაში ვიმყოფებით—ვსთქვათ ჩვენი წმინდა სინიდისის წინაშე—არის კი დაპირებული ერთობა, განზრახული მოქმედება? სთქვას საჯაროდ გიორგაძემ და ჟორდანიამ: რუსეთიდან კი არა, თვით ამიერკავკასიიდან კი ისინი იძლევიან ავტონომიას?

მართლაც, ნუ ავყვებით მწველ გრძნობებს, რაიც ესოდენ მავნებელია პოლიტიკაში. ვინ იცის, ეგების მდგომარეობა ისე შეიცვალა, ავტონომიათა ძიება აღარ იყოს საჭირო, ეგების ცენტრისაკენ მიისწრაფვება — სამშობლოს აყვავების და ბრწყინვალების პირობაა?

მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის მკითხველო. რომ ეს დავამტკიცოთ, ჩვენი ცხოვრების ამბებს უნდა მივმართოთ, ეგე იგი იმ კვანძებს, რომელშიაც სოციალ დემოკრატიას ტვინიც ჩაუტანია და ხელებიც. ღმერთო, რაჯული, არ გვინდა სოციალ-დემოკრატიაზე ლაპარაკი, მოგვბეზრდა ამდენი უნაყოფო კამათი, წერა, სალიტერატურო ბრძოლა, მაგრამ რა ვქნათ, რომ სოციალ-დემოკრატია ყველგან გვეღობება, წინ სდგას, როგორც მოქმედების სარბიელზე, ისე აზროვნების ასპარეზზე. ძალა უნებურად გვეხებიან ეს არა სასურველ მიმართულების ადამიანები და იძულებული ვხდებით ანგარიში გაუწიოთ.

საქართველოს სახელმწიფოებრივ თვითმოქმედების წინააღმდეგ დღემდე ძველი მთავრობა იყო—ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ასეთივე ჭეშმარიტებაა, რომ ასეთ თვითმოქმედებას რევოლუციონური მთავრობაც ეწინააღმდეგება. ჩვენში პირველი და უძინებელი მტერი ერის თვითმოქმედებისა იყო და არის ჩვენ ვე სოციალ-დემოკრატია და სწორედ ასეთი სიძულვილია პირობა შემდეგი ფაქტისა: სოციალ-დემოკრატია მთავრობაში და ცენტრში მოქმედობს და ფხიზლობს, ხოლო იგივე სოციალ-დემოკრატია ეროვნულს ნიადაგზე, ეროვნულს საბჭოში—მკვდარია და უსიცოცხლო.

სოციალ-დემოკრატია ცხოვრების პირში სდგას არა ეროვნულ ორგანოში, ხოლო ყველა ეროვნულ დაწესებულებებში იგივე სოციალ-დემოკრატია მაჩანჩალა და უსულო არსებაა. ჩვენ ამ საინტერესო მოვლენის ახსნას ცალკე დავიწყებთ, ეხლა კი იმ უმთავრეს არგუმენტს მოვიყვანთ სოციალ დემოკრატიის, რომლითაც ისინი ამართლებენ არა ეროვნულ შემოქმედებას.

სოციალ-დემოკრატები ფიქრობენ და კიდეც ამბობენ, რომ რუსეთის რევოლუცია დაღუპა ეროვნულმა გატაცებამ. ეს მართალი არ არის. ბოლშევიკები ყველაზე დიდი კოსმოპოლიტები არიან, რომელთაც ნაციონალიზმის არაფერი სწამთ. რუსეთის რევოლუციის ეს მესვეურები ანგარიშს არ უწევდნენ ეროვნულ ძალთა განწყობილებას და სამსოფლიო ცენტრების ძიებაში დაღუპეს სამშობლო ქვეყანა.

რაც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს რუსეთში იმას სხვა სახელით, თუმცა არსებითად იმეორებენ ამიერკავკასიაში ჩვენი სოციალ დემოკრატები—მენშევიკები. ჩვენ დღეს, 18 მარტს, ეროვნულ საბჭოს მეოთხე თვეზე, კვლავ ვიმეორებთ, რომ ამიერკავკასიაში ცენტრალურ ხაზებისათვის ეროვნულ ხაზების დავიწყება მოსპობს ჩვენს სამშობლოს და ამ მოსპობის ნიშნები ეხლაც ხელში გვაქვს თუ რაიმე ბედნიერმა შემთხვევამ არ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა.

სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ფიქრობენ, რომ ამიერკავკასია და საქართველო დღეს მთელ რუსეთში მშვიდობიანობის და რევოლუციის ოაზისია. ამ დებულებას მოქალაქენო, დიდი კითხვითი ნიშანი უნდა დაუსვათ.

თავის მოტყუილება იქნება ვსთქვათ, რომ ველიკოროსიაში ან უკრაინაში მეტი უწესობა და ძარცვა-გლეჯა, ავაზაკობა და ხალხის ჟლეტა იყოს—ვიდრე ჩვენში. უკრაინა ყოველთვის ბუდე იყო და არის ეროვნულ პრინციპებისა, და ჩვენ უამრავ საბუთებით დავამტკიცებთ, რომ უკრაინაში იშვიათი შემთხვევაა და არ არის ის ამბები, რაც ჩვენში არსებობს—ქართლის სახით, ქუთაისის სახით, სადახლოს სახით, აქსტაფ-განჯისა და სხ. ადგილების სახით. ამიერკავკასია დღეს განხორციელებული შუღლი და უწესობაა, რაიცა სწორედ იქიდან გამომდინარეობს, რომ არ არის ავტორიტეტული მთავრობა, არ არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე მშობლიურ მთავრობის ძალთა კონცენტრაცია, რისთვისაც სადახლო განჯაში ქართველთა დელეგატებს ალმაცერად უცქერიან, ხოლო ტფილისში სომხებსა და თათრებს ჩვენვე უცქერით არა მშობლიურის თვალით. მშვიდობიანობის მხრივ ჩვენი ქვეყანა მართლა გამონაკლისია რუსეთში, მაგრამ სწორედ ცუდის მხრივ.

ამიერ კავკასიის რევოლუცია ვერ აგვაწევინებს თავს მაღლა. ჩვენს მენშევიკებს გონიათ, რომ მათი წყალობაა რევოლუციის სიცოცხლე. ძალიან სცდებიან! მენშევიკები ნაკლები ოსტატები არიან რევოლუციისა ვიდრე ბოლშევიკები და ესერები, მაგრამ **თუ რუსეთში ისინი მარცხდებიან, იმიტომ კი არა, რომ ისინი ცუდები არიან, არამედ იმიტომ, რომ რუსეთის რევოლუციას გერმანია ჰყავს მოწინააღმდეგე და ჩვენ კი საბრალო ჩეტნიკები და ქურთები.**

ჩვენი ძალით კი არ არის აქაური რევოლუცია გადარჩენილი, არამედ ბუნებრივ გეოგრაფიულ და ისტორიულ პირობებით: რევოლუციის მტერი აქ ოსმალეთია, სულტნის სახელმწიფო, ხოლო რუსეთში კი მთელი ევროპის ბუმბერაზი—გერმანია. იციან თუ არა ეს სოციალ-დემოკრატებმა?

გარდა ამისა სად არის ამიერ კავკასიის რევოლუცია დაცული? მენშევიკ-დაშნაკელთა და მუსსავათელთა ბლოკმა გვიპასუხოს აშკარად და მკაფიოდ: არზრუმის მოქალაქენი სტკბებიან თუ არა დღეს რევოლუციის ნაყოფით, გვითხრას მენშევიკ მუსსავათის და დაშნაკელთა ბლოკმა არის თუ არა რევოლუცია განმტკიცებული ოლთისში, არტაანში, ტრაპიზონში, შავშეთ-იმერხევში, აჭარაში? **მენშევიკ მუსხავათის ბლოკს გონია, რომ რევოლუციის გამტკიცება ტფილისის სახახლეში პორტფელების განაწილებაა,** მაგრამ მე გეკითხებით: მთავრობის და რევოლუციის ძალით, გვეუბნენით, სახელით, არის თუ არა დაცული რევოლუციის საზღვრები? ეკუთვნის თუ არა ამიერკავკასიას ბაქო, საიდანაც ამდენი მოღვაწეები ჩამოიყვანეთ ტფილისში?

არის დრო, როდესაც ამ ისტორიულ კითხვებს პასუხი უნდა მისცეს მენშევიკ-მუსსავათ-დაშნაკელთა ბლოკმა, საზოგადოდ ამიერკავკასიის ცენტრის მონებმა.

ჩვენ ვამბობდით და დღეს კიდევ მეტის ძლიერებით ვიტყვით, რომ არსებულ სამთავრობო კომბინაციას შეუძლიან სამშობლოს დაღუპვა თუ ბედნიერმა შემთხვევამ არ დაგვიხსნა უბედურებისაგან. მენშევიკ-მუსსავათ-დაშნაკელებმა ჯვარი დაიწერეს, რევოლუციის სიდიადეზე ლაპარაკობენ, მაგრამ წვითა და დაგვით აღებულ ადგილებში ჩვენ დავკარგეთ რევოლუცია, ვკარგავთ დღესაც და ეხლა სამშობლოს რევოლუციას, ტერიტორიას და ერსაც ვკარგავთ.

მენშევიკ-მუსსავათ-დაშნაკელებთა ბლოკი გულით თუ უგულოთ სტირიან რევოლუციის განსაცდელს, ჩვენ კი ვსტირით რევოლუციასაც, სამშობლოსაც, ერსაც. დღეს სამივე ეს დიდება ცხოვრებისა განსაცდელშია და არავის მოეპოვება ძალა დაცვისა. ამის მიზეზი მთავრობის და შემოქმედების უნიადაგობაა ჩვენ მიზნად დავისახეთ მთელი ამიერკავკასიის ერთ [illegible] თავის მოყრა, ხოლო საარაკო კუთხური პოლიტიკა კი სწარმოებს. იმერეთის განსაცდელს ამიერკავკასიის და სხვა არც ერთი კუთხე არ იზიარებს, მაჰმადიანები სადახლოში ტყვიისმფრქვეველებს გვართმევენ, როდესაც ეხლა ახლოს ეს იარაღი ესოდენ საჭიროა, ხოლო მაჰმადიანთა ჩვენი დამცველი ჯარი დღემდის არა ჩანს ბათომის კალთებში. სად არის თუნდ ის რუსის ჯარი, რომელიც პოდშიბიაკინის სალამურით მარშით დადიოდა გუშინ-წინ ტფილისში, ნუ თუ მისი ფრონტი ტფილისის დაწესებულებებია?

მენშევიკ-მუსსავათ-დაშნაკელებს გონიათ, რომ ამიერკავკასია ერთი სახელმწიფოა, ოჰ, ღმერთო ჩემო, როდემდის უნდა დავბრმავდეთ, დავსახიჩრდეთ რომ აღარ დავინახოთ, რომ დღე**საც ამიერკავკასიაში რამდენიმე სახელმწიფო და რეალურად არსებული მომქმედი კუთხე?**

დღევანდელი მთავრობა—ისტორიული გაუგებრობაა და ეროვნული უბედურებაა, ის ისე არ ეკარება ცხოვრების სინამდვილეს, როგორც ცის გული დედამიწის ქვედაგს. და თუ ეს პოლიტიკური ქიმერა და ავანტიურისტული ფანტაზია კვლავ ასე დარჩა—ჩვენ ერის ღალადისით [illegible]—დავიღუპებით, მოვისპობით. გესმით??!! დავიღუპებით! **ვერ დავიცავთ ვერც ერთ ფრონტს. ვერ გაუძლებთ ჩეტნიკის მუშტსაც კი!**

ასეთ მდგომარეობაში ვართ როდესაც დღეს ჩვენს წინაშე თავმომწონეთ წარმოსდგებიან ამიერკავკასიის რევოლუციის გმირები, რომელნიც მთელ რუსეთსაც მაღლიდან დაჰყურებენ!

ეს ხალხი დღეს ეროვნულ საბჭოში მოვლენ, იმ საბჭოში, რომელიც კაი ხანია დაქვრივებულია, რომელიც კაი ხანია მენშევიკ-მუსსავათ-დაშნაკელთა ჯვარის წერამ მაჩანჩალად გარდააქცია.

ეგების დღეს ვინმემ როგორმე მოიგონოს ოთხი თვის წინა ამბავი და ერის უბედურების მომენტი წინ დააყენოს, რათა შეერთდნენ ამიერკავკასიის მუმიად ქცეული გვამები, ეგებ დღეს დავინახოთ, რომ დღეს იქა ვართ სადაც უნდა ვიყოთ, საიდანაც შეიძლება რისიმე გაკეთება და ჩვენი ძალა არ მოვაკლოთ სამშობლოს?

ეროვნული საბჭო ერის სავანე უნდა იყოს და იდეიაში ეს ასე იქნება მუდამ, ეს სავანეა აკვანი და შესაძლოება ყოველ შესაძლოობის, მაგრამ ვინ გაჰკრავს ხელებს ამ ძვირფასი ხმის ჩონგურს და სამშობლოს მშობლიურ ხმას ვინ გააგონებს?—მენშევიკ მუსსავათ-დაშნაკციუტუნის ბლოკი?—ბალღი უნდა ვიყოთ, რომ ეს დავიჯეროთ.

ეროვნული საბჭო გადააქციეს მაჩანჩალად და ის მკვდარია დღეს. ჩვენს ერს თავს ესხმიან მესხეთსა და აჭარაში, მაგრამ ის ვერაფერსა გრძნობს, ერი ილუპება, მაგრამ ის ლაპარაკსაც ვერ ახერხებს...

დავღუპეთ ეროვნული საბჭო, მაგრამ ვიცოდეთ მაინც, ეს ერის და ჩვენის არსებობის დაღუპვაც არის. იცოდეთ ეს, გახსოვდეთ ეს და ამ ფიქრების წიაღში კვლავ იარსებეთ ამაყად, ლაღად, უდარდელად ამიერკავკასიის ცენტრის და მენშევიკ-მუსსავათ დაშნაკციუტუნის სარეცელზე...

თედო ღლონტი.

მკვდარი სიცოცხლე

რაც დღე მიდის თანდათან უახლოვდება ჩვენს სამშობლოს შავი აჩრდილი სიკვდილისა. ვხედავთ, ხელსახებია ჩვენთვის ეს საშინელი სინამდვილე და უძლურნი ვართ რამე გავაწყოთ. იდეალისტობა და უტოპიზმი ლამაზის ფრაზეოლოგიით სცდილობს ბურუსის ზეწარი გადააფაროს ამ საშინელ უფსკრულს. მაგონდება რუსეთის ლაშქრის მთავარსარდლის ალექსეევის სიტყვები: „ოდნავი წაჯიკავება კიდევ და მთელის სიმძიმით ჩვენი ქვეყანა თვალუწვდენელ უფსკრულში გადაიჩეხება!“ წინასწარმეტყველობითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სიტყვებს. რუსეთი დღეს უკვე ამ უფსკრულშია—მან ვეღარ გაუძლო ამ წაჯიკავებას. სიმწვავე დაჰკარგა სიტყვებმა: სამშობლო განსაცდელშია! დღეს ეს ოდნავადაც ვერ გამოხატავს რეალობას. ჩვენ უფსკრულის წინაშე ვართ!.. აი, სინამდვილე და აქვე იბადება კითხვა—გავუძლებთ ახალ წაჯიკავებას, თუ გადავიჩეხებით მწვეტიან კლდიზე. რუსეთის მრავალმილიონიან ხალხს კიდევ შეუძლიან იოცნებოს აღდგომაზე, თუმცა იგი ჩაკეტილი იქნება და ზღვებს მოწყვეტილი. ხოლო ერთი მუჭა ქართველ ერს, თუ მას ისლამის მახვილი მკვეთრად მოხვდა, აღარავითარი იმედი აღარ უნდა დარჩეს უფსკრულიდან ამოსვლის. რა თქმა უნდა, ეგ საშინელება სიცხადით ჯერ კიდევ არ მოვლინებია საქართველოს ხალხს. მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე ტრაგედია ჩვენის ერისა იმაში მდგომარეობს, რომ მას წარმოდგენაც არა აქვს ძალთა რეალურ განწყობილებაზე, არ იცის: ვინ არის მასთან და ვინ არის მის წინააღმდეგ ამ განსაცდელის ჟამს...

ლამაზის სიტყვებით, ხელების აწევით, მეგობრულის ღიმილით მას ატყუებენ და ამ ტყუილის მორევში, ამ ილიუზიების სფეროში იგი თან და თან იფლობა.

ქართველ ერს ეს ჭეშმარიტება ვერ შეუგნია: დღეს ვინც მის ახლოს არის და მასთან არ არის—მისი წინააღმდეგია. ბრძოლის დროს ვინც ილიუზიებით იკვებება და ყველაფერს ვარდისფერ სათვალეებიდან უცქერის, უეჭველია, გაისრისება და სინამდვილე დაუმსხვრევს ამ სათვალეებს. ხალხი დღეს დრტვინავს და ერთა-ერთ თავისაკენ იცქირება—რას ეტყვის იგი, რა გზას უჩვენებს. ეს თავი ამიერკავკასიის მთავრობაა, მან უნდა გაითვალისწინოს რეალურ ძალთა განწყობილება და ყოველი შეცდომა ასეთ კრიზისის დროს, ყოველი მცდარი დიაგნოზი სიკვდილისაკენ მიგვაქანებს.

და ეხლა ისმის საკითხი—მთავრობის კაბინეტს სჯერა თუ არა, რომ ყველა ერები ამიერკავკასიისა ერთნაირად დაინტერესებულნი არიან დაიცვან ახალ სახელმწიფოს საზღვრები? ყველა ერები არიან ისე შეკავშირებულნი და გადაბმულნი, რომ რომელსამე მათგანის გულში მახვილის დაცემა ერთნაირ რეაქციას გამოიწვევს დანარჩენებში? სჯერა მას, რომ ამ.-კავკ. სახელმწიფო ორგანიული კავშირია და მას ყოველთვის შეიძლება ამოვკრიფოთ მინიმუმი პატრიოტიზმისა?

თუ ეს სჯერა, მას თვითონ დიდი ნიადაგი ქონია, მთავრობა მკვიდრ, რეალურ საფუძველზე დამყარებულა და მას კატეგორიულად შეუძლია იმოქმედოს ძალთა განაწილებაში, მათ ხელმძღვანელობა-გაძღოლაში. მაშინ მას შეუძლია მუსულმანთა სამხედრო ნაწილები ბათომის დასაცავად გაგზავნოს.

მაგრამ, მგონია, მთავრობისათვის საიდუმლო არ უნდა იყოს ის ნეიტრალიტეტი, რომელსაც ამიერ კავკასიის ზოგი ერები დაადგნენ. საზღვრების დაცვა ღებულობს წმინდა ეროვნულ ხასიათს, ბათომს იცავენ ქართველები, ყარსს და სარიყამიშს სომხები. მუსულმანობამ თვის პოზიციად ნეიტრალური ხაზი გამოაცხადა, ფაქტიურად ომი ეროვნულია. ფორმალურად და იურიდიულად ამ ომსაც და საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს ამიერ კავკასიის მთავრობა. მგონია, თვითონ მთავრობის კაბინეტში მოკალათებულია იჭვიანობა და მისი მატლი ღრღნის ყოველ მტკიცე ნაბიჯს. იმ საკითხებზე, რომელიც ჩვენ დავსვით, მთავრობა გულწრფელად და გადაჭრით ვერ გვიპასუხებს, მაგრამ მისი ოფიციალური სახე მაინც თვალთმაქცობს, ხალხს ილიუზიებს უბადებს და ამიერ კავკასიის ძალთა შედუღებაზე, ერთად დარაზმვაზე და ერთად შეტევაზე გვეუბნება.

არა გვგონია რამდენად გულუბრყვილო იყვნენ სასახლეში მსხდომნი, რომ მათ [illegible] ამ იჭვებს. და თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, ისინი [illegible] საშინელ ექსპერიმენტებს ახდენენ.

მე მინდა აშკარად ვიკითხო: არის თუ არა რაიმე იჭვი? და თუ არი შეიძლება თუ არა ასეთ საშინე დროს ქართველი ერის ბედი დაეყრ ნოს ამ საეჭვო პოზიციას?

თუ ამიერკავკასიის მასშტაბით შესაძლებელია თავდაცვის პოლიტიკა და ომი ვაწარმოოთ, თუ ეს მითი არ არის და მას რაიმე რეალური საფუძველი აქვს, ეს არის ერთად ერთი სალი გამოსავალი და ქართველი ერიც თავის ძალებს უნაკლოდ მოახმარს ამ საერთო საზღვრების დაცვას. ჩვენ ყველანი მზადა ვართ მთელი ენერგია შევსწიროთ ამ საქმეს და მით მკვიდრი საფუძველი ჩავუყაროთ ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობას, მათ მომავალ ძმურ განწყობილებას. ეს იქნება უახლოესი გზა და მკვიდრი პოზიცია, რომელსაც ოდნავ ვერ შეარყევს ოსმალეთის ჯარი. ასეთ ომში ჩაბმა სახიფათო იქნებოდა ოტომანის მთავრობისათვის და ისიც, ცხადია, სხვაგ რის კილოთი დაუწყებდა ლაპარაკ ჩვენს დელეგაციას.

ხოლო თუ ამიერკავკასიის ერების ასეთი ჰარმონია ჯერხანად, ომის დროს მაინც შეუძლებელია, თუ ასეთის მასშტაბით ომის წარმოება ქიმერაა, რომელიც კერძოდ ქართველ ერში სიფხიზლეს ჰკლავს, თუ ამ ნიადაგზე დგომა საიმედო აღარ არის, მაშინ ჩვენ ამ წუთას, დღესვე უნდა ავხადოთ ფარდა სინამდვილეს. ეხლავე უნდა ვსთქვათ აშკარად ჩვენი იჭვები. დაგვიანება სიკვდილის სწორია, თავის მოტყუილება გულში ლახვარის ჩაცემაა. ჩვენ ეხლავე უნდა გავიგოთ—სად არის ის ნამდვილი ძალა და მოკავშირე, რომელიც ბოლომდის დარჩება ბრძოლის ველზე და ჩვენთან ერთად დაიცლება სისხლისაგან. ჩვენ ეხლა სიტყვები აღარ გვეჭირვება, დემოკრატიის თანხმობაზე ლაპარაკმა ყურები გამოგვიჭედა... და თუ ამ დემოკრატიას არ შეუძლია დღესვე ეს ლოზუნგი ცოცხლად ჩამოასხას, სინამდვილეში გაატაროს, თუ იგი ჯერ კიდევ არ არის მზად საამისოდ, თუ მ თავისი რეალური ინტერესები საკ ბით ვერ შეუგნია და რელიგიურ, შოვინისტურ ფანატიზმით დატვირთულია მისი აზრები და გრძნობა ჩვენ არ შეგვიძლია ყველა ამას გულხელ დაკრეფილნი ვუცქიროთ და ვსთქვათ: მით უარესი ამიერკავკასიის დემოკრატიისთვის!.. ჩვენ არ შეგვიძლია საქართველოს მშრომელი მასსა ექსპერიმენტას ობიექტად ვაქციოთ. მცირე ერისათვის ასეთი ექსპერიმენტი მომაკვდინებელია უცილოდ.

ჩვენ არ შეგვიძლია ნაცად, გაკოტრებულ ინერციის, მშრალ ობიექტივიზმის პოლიტიკას მივყვეთ და ამ მოვლენის გარედ ვიდგეთ.

ჩვენ გვინდა მთავრობამ დღესვე გვითხრას ყველაფერი, უმაშველო გულწრფელობით ამეტყველდეს შიგნით მაინც და დიპლომატიურ ღიმილის ნიღაბი ჩამოიშოროს, თუ ასეთი ფარავს მის სახეს. თორემ თუ ჩვენ გავისრისეთ და ამ „დიპლომატიამ“ კლდეზე გადმოგვჩეხა, მთელი პასუხის მგებლობა ამ.-კავკ. მთავრობას უნდა დააწვეს კისერზე.

როგორი უნდა იყოს ჩვენი ნაბიჯ ამ იჭვების გამომჟღავნების შემდე ძნელია ყველა ამის თქმა და გათვალ სწინება ამ თავით. მხოლოდ ერთი აშკარაა—რეალურ ძალთა განწყობი ლების ობიექტიურ შეფასებით ჩვენ არ მოვტყუვდებით. ჩვენ გვეცოდინება, რომ ჩვენი დამცველი და პატრონი მარტო ჩვენა ვართ და ტკბილის სიზმრებით თავს აღარ მოვიტყუებთ. ჩვენ გავიმიჯნებით, ჩვენი მთავრობა ერთის თავით იქმნება და ერთგვარ, ერთის ფსიხიკით და ალტყინებით აღგზნებულ მასას დააწვება. და მაშინ შეიძლება, ამ საშინელების ჟამს, იჩინოს თავი იმ პოტენციალურმა ენერგიამ ერისამ, რომელიც ყოველ ცხ ველ-მყოფელ ხალხის წიაღში ბუდობს. გერმანია სწორედ ამ პოტენციალური ენერგიის გამომჟღავნებით გაუმკლავდა მთელს მსოფლიოს. და განა ჩვენს ისტორიულ წარსულში მცირედია ასეთი მაგალითები?..

ვიმეორებთ ამიერკავკასიის საერთო დაცვა მორიგი საქმეა, უტყუარი საშუალება საქართველოს ხსნისათვის მაგრამ თუ ამიერკავკასიის ცოცხალ ორგანიზმი არ არის, თუ მასში და როვილია დიამეტრალურად მოწინაა მდეგე ძალები, თუ საერთო ინტერე სების შეგნების და პატრიოტიზმის მი

ნიმუშის ნასახიც არა ჩანს; ცხადია, ასეთ სახელმწიფოს არავითარ პოტენციალურ ენერგიის გამოჩენა არ შეუძლია, ცხადია ასეთი სახელმწიფო მკვდარია, მისი სულის ჩადგმა მომავლის საქმე ყოფილა. და განა შეუძლია მკვდარ სიცოცხლის პროცესში მყოფს ასეთი დიდი როლი იკისროს? და განა ამ მკვდარ-ცოცხალში, იჭვით დაცხრილულში შედუღება საშინელება არ იქნება ქართველ ერისათვის?

და თუ ასეთ იჭვებს რეალურად აქვს ადგილი, დღესვე უნდა აშკარად შეიტყოს მთელმა საქართველომ, რომ თვითონ გამონახოს თავი და ბრძოლის ჟამს იმედი ჰქონდეს—ზურგში მახვილს არ ჩასცემენ. თუ ასეა, ცხადია, ამიერკავკ. დიდის მასშტაბით მკვდარ სიცოცხლეა, ვარჩევთ ქართველი ერის პოტენციალურ ენერგიის გამომჟღავნებას.

აკ. ბ—ვა.

„იზვესტიას“ გამოლაშქრება

ცენტრის „იზვესტია“ თავს ესხმის ეროვნულ საბჭოებსა გაზეთის აზრით ამიერკავკასია განსაცდელშია: „იმერეთი და სამეგრელო—სწერს გაზეთი—ერთსულოვნებით ახდენს მობილიზაციას, გურია ფეხზე დადგა, ქართლელები იარაღს მოითხოვენ... სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით სომხებსა და მაჰმადიანებზე. ამათ დიდი ძალა აქვთ, თითქმის რეგულიარული ჯარიც, მაგრამ ეს ძალები ეროვნულ საბჭოებს უჭერენ, რომელთაც არა სწამს მთელ ამიერკავკასიის მთავრობა. ამ საბჭოების პოლიტიკა პირადი ანგარიშების გასწორებისაკენ არის მიმართული. და ამ საბედისწერო დამღუპველი პოლიტიკას შედეგია ეროვნული შუღლის გაღვივება, რომელსაც ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა მოსდევს. ამაშია მთელი ტრაგიზმი ჩვენი მდგომარეობისა, ამაშია ჩვენი დამარცხება და დამონება. საქართველო, ერთი ვერ შესძლებს ჩვენი მხარის დაცვას, როდესაც მის ზურგში ეროვნულ ნიადაგზე ჟლეტა იქნება გამართული, ამიერკავკასიის გადარჩენა მხოლოდ საერთო ძალღონით შეიძლება მაგრამ ამისათვის პირველ რიგში საჭიროა თვითნება ეროვნულ საბჭოების ალაგმვა. მთავრობა უკვე შესდგა, ხალხის წარმომადგენლებმა მთავრობას დახმარება აღუთქვეს. დაამტკიცონ მათ. რომ ეს ცალიერი დაპირება არ არის. **ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეროვნულ საბჭოების ალაგმვა და მათი გამგებლობიდან შეიარაღებული ძალის გამოთიშვა—ყველაფერი ეს სეიმის ეროვნული ფრაქციების მოვალეობას შეადგენს“.**

ხაზი ჩვენ მიერ არის გასმული. მაგრამ „იზვესტია“ თუ ხედავს ეროვნულ საბჭოების და ეროვნულ ჯარების და ძალების ესოდენ პატივისცემას საბ-საბჭოებისადმი, განა ხელოვნურად შეიძლება მისი ჩახშობა? ნუ თუ ეროვნული და ინტერნაციონალური საკითხი გადაიჭრება მხოლოდ ძალით და ვისიმე სურვილით? დროა გაიგონ სწორ-უპოვარმა ცენტრალისტებმა, რომ ორგანიულ მოვლენებს, ბუნებრივ მდგომარეობას გზა უნდა მიეცეს და ბუნებრივის საშუალებით მოვაგვაროთ საქმე, თორემ ხელოვნურად ინტერესების მიფუჩეჩება უარესია. ეროვნულ საბჭოები ბუნებრივ მდგომარეობის და ორგანიულ თანამშრომლობის პირობაა და საჭიროა მისი სახელმწიფოებრივი უფლებებით შემოსვა და არა დათრგუნვა. როდის გაიგებენ ამას „ცენტრის“ ცენტრალისტები“?

ომი

ბერლინი. 29 მარტი. (ახ. სტ) ოფიციალური ცნობა. დასავლეთის ფრონტი, სკარპასთან ჩვენ გავარღვიეთ მტრის მოწინავე ხაზი და ფრანგი ტყვეები ჩავიგდეთ ხელთ. ალბერტსა და რის ჩრდილოეთით ინგლისელები განაგრძობენ თავის უნაყოფო კონტრიერიშებს. მათ დიდი ზიანი მიაყენეს, მრავალი დაჰკარგეს იარაღი და ჯარისკაცი. არტილერია განაგრძობს თავის აქტიურ მოქმედებას მთელ ბრძოლის ველზე.

ვენა. 29 მარტი (ახ. სტ.) ოფიციალური ცნობა. დასავლეთით გრძელდება ბრძოლა, ჩვენ მოკავშირეთათვის ნაყოფიერად. აღმოსავლეთით იტალიაში საგულისხმო არაფერი მოხდარა.

ბერლინი. 29 მარტი (ახ. სტ) საღამოს ცნობა. საარტილერიო ბრძოლა დაღამებამდე არ შეწყვეტილა. ჩვენ შევუტიეთ მტერს ავანკურტის და პესიერის დასავლეთით და ჩრდილოეთით. ჩვენი ახალი ფრონტის ცალკე უბნებში მონტ-დიდიერის და ნოიონის ჩრდილოეთით ფრონტებმა კონტრიერიშები დაიწყეს რომელიც მათთვის უნაყოფოდ ჩატარდა მხოლოდ დიდი ზიანი მიაყენა მათ. ტყვეთა რიცხვი და ნადავლის რაოდენობა იზრდება ჯერ-ხნობით 70.000 ტყვე და 1.100 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელში. გუტნერის არმიამ 40 000 ტყვე ჩაიგდო ხელში. ლოტარინგიის ფრონტზე გაძლიერდა საარტილერიო ბრძოლა. როტმისტრმა რიხტჰოფენმა მე 74 ჯერ გაიმარჯვა საჰაერო ბრძოლაში.

გერმანიის ნაუჰეინის რადიო სადგური იუწყება, რომ ფრონტის ოფიცრები არ მალავენ ამერიკის ჯარების ნაკლს. მათი აზრით ამერიკის ჯარს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მოქმედება, თუ ისინი ბატალიონებად შევლენ ინგლისელთა და ფრანგების ჯარში. დამოუკიდებელი ოპერაციების წარმოებისათვის ისინი სრულებით არ გამოდგებიან.

კავკასიის ფრონტი.

ოფიციალური ცნობა 16 მარტი. ნაშუადღევის 3 საათი

ზღვის სანაპიროზე მდგომარეობა უცვლელია. აჭარის წყლის რაიონში, ბათომის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 20 ვერსტით, შეტაკებებია ჩეტნიკებთან, რომელთაც ოსმალო ოფიცრები ხელმძღვანელობენ. ბათომის ზურგით—აჭარელები, რომელნიც ჩაქვას ხეობით მოიწევდნენ, ხალას აღმოსავლეთით შეაჩერეს. ოსმალო ჩეტნიკები სოფელ დაგვაშიც გამოჩნდნენ. ეს სოფელი ქობულეთს 6 ვერსით არის დაშორებული აღმოსავლეთით. სარიყამიშის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. მხოლოდ ბარდუსის მიმართულებით ჩვენი მზვერავები შეეჯახნენ ქურთებს. ჩვენი ნაწილები ზაიახეთიდან ალაშქერთის კარაკლისამდე მივიდნენ.

უკანასკნელი ცნობები

ცნობა რადიოთი. სევასტოპოლიდან მიღებულია 16 მარტს; ინგლისურად. რუმინიის პრემიერ-მინისტრმა 20 მარტს (ახ. სტ.) დაამთავრა მოლაპარაკება რუმინელთა ტყვეების გაგზავნის შესახებ სულინში 30 მარტისთვის „ჩერნომორზე“ (გემი), რომელნიც იმყოფებიან რუსეთში, რუსებზე გადასაცვლელად, რომელნიც რუმინიაში იმყოფებიან. გამოჰგზავნეთ 20 ტყვე რუსი პოლკ. ზვეგინცევის ზედამხედველობით „ჩერნომორზე“, რომელსაც ჩვენ ვაგზავნით სულინიდან დილით 30 მარტს. დეპეშით გვაცნობეთ, რომ რუმინიის ჯარის კაცები იგივე გემით უნდა გაემგზავრონ“. ხელს აწერს ბოილ.

—

— მიღებულია 29 მარტს (ახ. სტ.), რუსის ტრანსპორტ. „ჩერნომორის“ უფროსი ტყვეებით მოვა სულინში 28 მარტს. თხოულობენ პილოტს“.

—

რადიოს ნაწყვეტი. მიღებულია 16 მარტს. მოსკოვი. ეხლავე ხელშეკრულობის მიხედვით ბესარაბიის დაცვა გადადის ადგილობრივ ქალაქების და და სოფლების მილიციის ხელში. რუმინიის მთავრობა უარს აცხადებს ყოველივე სასამართლოს და ადმინისტრატიულ ფუნქციების შესრულებაზე და ეს მიენიჭება მხოლოდ ადგილობრივ მთავრობას. რუსეთში შეპყრობილი რუმინელები გადაცვლილ იქნებიან რუმინიაში შეპყრობილ რუს ოფიცრებსა და ჯარის კაცებზე. რუმინიას ევალება არავითარი სამხედრო მოქმედებები არ აწარმოვოს რუსეთის წინააღმდეგ და არ დაიკავოს კავშირი სხვა სახელმწიფოებთან, რომელნიც ამნაირ მოქმედებას განიზრახავენ.

—

რუსეთს ევალება მისცეს რუმინიას ბესარაბიაში დატოვებული პური. ამას გარდა რუმინიიდან რუსეთში უნდა გამოიგზავნოს ისეთი საქონელი, რომელიც არ არის რუსეთში, მაგალითად, თევზი, ქონი, შაქარი და ჩაი. რუსეთი უბრუნებს რუმინიას სასურსათო საწყობებს. რუმინიის ჯარის უკან დახევის დროს ისინი პოულობენ თავშესაფარს რუსეთის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოქმედება წარმოებულ იქმნა ცენტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგ, რუმინია რუსეთთან იქონიებს... (გამოტვებულია).

—

გარეშე საქმეთა სახ. კომისარი აუწყებს ავსტრია ჰუნგრეთის მთავრობას, რუს ტყვეთა შესახებ რუმინიაში და რუმინელ ტყვეთა შესახებ ოდესაში, რომ ამის შესახებ 1 მარტის რუსეთ-რუმინიის ხელშეკრულებაში ამაზე არის მოხსენებული და დადგენილია მათი—რუსებისა და რუმინელების გაცვლა-გამოცვლა. ამის გამო გარეშე საქმეთა სახ. კომისარი მოითხოვს დაუყოვნებლივ განთავისუფლონ ოდესაში რუსი ტყვეები. ხელს აწერენ: ჩიჩერინი, კარახანი. მოსკოვი.

ახალი ამბავი

◆ **სროლა შეითან ბაზარში.** 16 მარტს საღამოს 6 საათზე თათრის მოედნის ახლოს—შემთხვევით მოკლულ იქნა თათარი მკვლელი მაშინვე იქნა თვით გასამართლებული ხალხის მიერ. ამის გამო ასტყდა საშინელი სროლა და გასტანა თითქმის ორ საათს. ახლო-მახლო უბნის მცხოვრებნი შიშის ზარმა შეიპყრო, ყველას ეგონა, რომ 1905 წლის ამბები განმეორდაო!

◆ **საქართველოს ეროვნული საბჭო.** კვირას, 18 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია საქ. ეროვნული საბჭოს მეათე კრება. განსახილველი საგნები: 1. ჩვენი საერთო მდგომარეობა. 1. სექციები. 3. მიმდინარე საკითხები.

◆ **ახალი ეროვნული ქართული გუნდი.** ქართველთა ცენტრალურმა სამხედრო კომიტეტმა გადასწყვიტა შეჰქმნას გუნდი და ხელი შეუწყოს ეროვნულ მუსიკას, რის გამოც დაავალა ვიოლონჩელისტს ილ. აბაშიძეს მოაწყოს ქართული ეროვნული ქალვაჟთა მომღერალთა გუნდი თვიური ჯამაგირი 80—100 მ. თვითეულს. რეპეტიციები გაიმართება 5—7 ს. საღამოს და ამით შეღავათი მიეცემა გუნდის წევრს გასწიოს თავის სამსახური. ხმის გამოცდისათვის მსურველს ვსთხოვთ მობრძანდეს სამხედრო კავშირში, ქართულ კლუბში 12—2 ს. და 6—7 ს. საღამოს.

◆ ქართულ კორპუსთან შემდგარ განსაკუთრებულ ცხენოსან რაზმის მხედრებს ამით ვაუწყებთ, რომ მეცადინეობა რაზმში უკვე დაიწყო და ყველა ვინც რაზმში ჩაეწერა და კერძო ბინებზე ცხოვრობენ, ვალდებულნი არიან რაზმში გამოცხადდენ ამ თვის 20 რიცხვამდე (მიხეილის პროსპექტი ყოფილი სამხედრო სასწავლებლის შენობა). წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ვინც არ გამოცხადდება დანიშნულ დროზე, ჩაითვლებიან „დეზერტირებად“ და გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

◆ **ფოსტალიონები.** ქალაქის განაპირა უბნებში ფოსტალიონები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგალითად ხარფუხში ერთი თვე იქნება, რაც ფოსტალიონი თვალით არ უნახავს მცხოვრებლებს.

◆ ეროვნულ საბჭოსთან არსებულ გუნდების მეტყველთა კომისიის კრება დანიშნულია დღეს 18 მარტს ქართულ გიმნაზიაში დილას 10 საათზე გუნდების მეტყველთ ვთხოვთ დაესწრონ.

◆ დღეს, კვირას 18 მარტს, საღამოს სრულ 5 საათზე ეროვნული საბჭოს დარბაზში (ფრეილინის ქუჩა № 11) დანიშნულია ეროვნული საბჭოს განათლების სექციასთან არსებული საგნობრივი კომისიების წევრთა შეერთებული კრება. განსახილველი საგანია—საგნობრივი კომისიების მოხსენებები.

◆ დღეს 18 მარტს 5 საათზე შესდგება „ნაკადულის რედაქციაში ქართველ ქალთა ყრილობის მომწყობ ბიუროს კრება.

◆ **მოწყალეობის დების კურსები.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს ჯანმთელობის განყოფილება ახლო მომავალში აწყობს მოწყალების დების კურსებს. იკითხება შემდეგი საგნები: 1. ანატომია, 2. ფიზიოლგია, 3. ქირურგია და დესმურგია, 4. ჰიგიენა 5. სნეულთა მოვლა, 6. ფარმაკოლოგია და რეცეპტურა, 7. მასსაჟი. ლექტორებად მოწვეულნი არიან ექიმები: შ. მიქელაძე, ნ. მელიქიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. წინამძღვრიშვილი, გ. მუხაძე, ი. თიკანაძე, დ. ახვლედიანი, ალ. დიასამიძე, მ. მგალობლიშვილი. ლექციები იკითხება ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიის ქ. № 7) პრაქტიკული ვარჯიშობა კი იქვე და ქალაქთა კავშირის № 51 ლაზარეთში.

◆ **კოწია გამსახურდიას მოხსენება ქუთაისში.** ოთხშაბათს, საღამოს, ქალაქის თეატრში კ. გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას: „ერი თუ რასსა“.

◆ **არტაანის ამბები.** 17 მარტს არტაანიდან ტფილისში ჩამოვიდა ორი ბერძენი, ისინი არტაანიდან გადმოსულან 10 მარტს, გადაუვლიათ მთები. ისინი მოგვითხრობენ, რომ არტაანში მთელი გლეხობა გაძარცულია. და შიშის ზარს არის მიცემული. ოსმალეთიდან ჩამოსული მოლები მიიწვევენ ხალხს ქრისტიანთა ამოსაჟლეტათ. საჭიროა საჩქაროდ ზომების მიღება, მცხოვრებლების გადასარჩენად.

◆ **ქართველ მწერალთა კავშირის კრება** დანიშნულია დღეს, დილის 11 საათზე ქართულ ბანკის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ.). განსახილველია საკონკურსოდ წარმოდგენილი ეროვნული ჰიმნები.

◆ **სომეხთა ნაწილების გამარჯვება.** „ჰორიზონის“ რედაქციას აცნობენ, რომ სომხის ჯარის ნაწილებმა უკან დაიბრუნეს სარიყამიში მიმართულებით ბაშკა და ბარდუს. უახლოვდებიან ოლთისს.

◆ **სომეხთა კომინისტების ორგანო** „კარმირ-ორერ“ (წითელი დღეები) დაიხურა.

◆ **სროლა.** ერევნის მოედანზე 16 მარტს, საღამოს 7 ნახევარ საათზე ასტყდა ძლიერი თოფის სროლა. გამოირკვა, რომ სომეხი ჯარის-კაცები იჭერდენ სომხებს, რომელთაც უწევდათ ჯარში გაწვევა და არ მიდიოდნენ. რამოდენიმე კაცის შეპყრობის შემდეგ გაისმა ჯერ რევოლვერის და შემდეგ თოფის სროლა. მოკლულ იქმნა შემთხვევით ივ. ვასილიევი.

◆ **გაძარცვა.** 6 მარტს აღმოაჩინეს ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში (კიროჩნი ქუჩა) 18 ათასი მანეთის საქონლის დაკარგვა. როგორც გამოირკვა ეს საქონელი გაუტანიათ: კურაშვილს, მაგომეტ-გაჯი მურად-ოღლის, ს. ოკოპოვს, მ. ჩიტჩიანის ქალს, ფ. გრიგორიევის ქალ. ნაწილი საქონლის დააბრუნეს.

◆ **ბილეთების გაყიდვა და ბარგის მიღება შეწყდა,** შემდეგ სადგურებზე: ბაზარლის, შამქორის, ელაბაშლის, ზაზალის, დალმა-მეტლის, კიუროკჩაის, გერანის, მინგეჩაურის, ევლახის და მადაის. დაიხურა ახალ სენაკის სადგური საქონლისათვის. შესწყდა ყოველივე ბარგის მიღება ულუხანლუ-ჯულფას ხაზზე. სადგურ ბალაჯარზე მიიღება ყოველივე მიმართულებით გასაგზავნი.

◆ **ზუგდიდიდან** ექიმი მინასიანი იუწყება: ლტოლვილები ვერავითარი ძალით ვერ შევაჩერეთ. არა გვაქვს სამხედრო ძალები. მოდიან ტაშკიჩ და ძიადინიდან. ნიზუნის რაიონიც იხიზნება. ვანიდან ცნობები არ არის.

◆ **ქართ. სტუდ. სამეურნეო წრის კრება.** ქართველ სტუდენტთა სამეურნეო საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 18 მარტს, ნაშუადღევს ორის ნახევარ საათზე, „არტისტიულ საზ.“ საკონცერტო დარბაზში მოხდება საზოგადო კრება სამეურნეო წრისა.

◆ **სამღვდელოების კრება.** მომავალ ოთხშაბათს, 21 ამა მარტს, დანიშნულია კრება ტფილისის საოლქო სამღვდელოებისა სამიტროპოლიტო კანცელარიაში.

◆ **სროლა ტფილისში.** სროლა ტფილისში კვლავ აღარ სცხრება. 15 მარტს საღამოს 7 საათიდან ხან გამოშვებით ისროდნენ ერევნის მოედანზე და პუშკინის ქუჩაში. მცხოვრებნი თავზარდაცემულნი იყვნენ უაზრო სროლის გამო.

◆ **თავდასხმა,** 16 მარტს ღამით ელისაბედის და კიროჩნი ქუჩების კუთხეში ჯარის კაცთა და მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის წევრს ენჩ'ანს დახვდა 8 შეიარაღებული კაცი, ჯარის-კაცის ტანისამოსში. წაართვეს რევოლვერი.

◆ **მცირე საბჭომ** 15 მარტის სხდომაზე განიხილა საკითხი თავის არსებობის შესახებ და დაადგინა სთხოვოს ამიერკავკასიის ახალ მთავრობას განმარტებები იმის შესახებ, შესაძლებელია და საჭიროა თუ არა მცირე საბჭოს არსებობა.

◆ **უეცრად გარდაიცვალა,** ბეითალი ბოლესლავი პეტროვიჩ ტოვ-სულთანოვი, 14 მარტს დილით 4 საათზე ვოლარეტის აფთიაქში. სადაც ის მოვიდა საექიმო დახმარებას ითხოვდა, რადგანაც თავს ცუდად გრძნობდა.

◆ **ქურდობა.** 12 მარტს ფილოლოროვის ქუჩაზე ს. ავგუსტინსკაია-დოლგორუკოვას მოჰპარეს 13 ათასი მანეთის ძვირფასი ნივთები.

◆ **ტფილისის დამცველთა შტაბმა.** შეიპყრო; ესიკოვსკის ცირკში ჩხუბისათვის ჯარის კაცები: ორდინარულ რაზმის ო. ყაამინოვი, კავკასიის ორდინარულ ესკადრონის ბ. ჯანგუროვი, გ. თერზიშვილი და ნ. ბატოშვილი. სიყალბისათვის მე 4 თურქესტანის დივიზიის, 1 ლაზარეთის მოხელე ივ. პოპოვი. მილიციის უფროსმა დაადგინა ერთი თვით დაატუსაღონ ვ. ს. მნიკინი, როგორც მავნე ელემენტი. მეძმარიაშვილი მალულად სპირტის სასმელებით ვაჭრობისათვის 3 თვით. მ. ს. პაატაშვილი ქუჩაში უსუფთაობის გამო 1 თვით. ი. მემარილიძე იარაღით ვაჭრობისათვის 3 თვით.

სოფლად და ქალაქად

დუშეთი

◆ 11 მარტს, კვირას დუშეთში შესდგა პირველი კრება მაზრის კოოპერატორებისა, გადასწყდა დაარსდეს სამაზრო კავშირი, რომელსაც ექნება ჯერ-ჯერობით ორი საწყობი: ს. ცხვთაში და ქ. დუშეთში. არჩეულ იქნა საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც უნდა შეკრიბოს სათანადო ცნობები და მოკლე ხანში მოიწვიოს დამფუძნებელი კრება.

◆ სოც.-ფედერ—ბის კომიტეტის წევრთა ინიციატივით სახალხო სახლში მოწვეულ იქნა ახალგაზდა ქართველობის კრება, რომელმაც გადასწყვიტა დაუყონებლივ ომში წასვლა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. აქვე აირჩა „სამშობლოს დაცვის კომიტეტი“, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს მობილიზაცია ქალაქში და ამასთან გამონახოს საშუალება წასულთა ოჯახების და სახმარებლად.

◆ ორშაბათს, 12 მარტს აქაური სომხის ახალგაზდობა გაემგზავრა ტფილისში ნაციონალურ პოლკში შესასვლელად. მათ გასაცილებლად სადგურთან შეიკრიბა დუშელობა. აქვე იყო ჩვენი პარტიული კომიტეტის მთელი შემადგენლობა. უკანასკნელთა სახელით გამოსალმების სიტყვა უთხრა ამხ. ალ ინაშვილმა.

◆ ამ ბოლო დროს ქალაქს შემოაკლდა პური. ვაჭრების თავაშვებულობა აუტანელი გახდა. მათ მრავალი ფქვილი ჩამოაქვთ ქვეყნიდან და ზღაპრულ ფასში ჰყიდიან უცხო ხალხზე. მათ წინააღმდეგ სამაზრო სასურსათო კომიტეტის გამგეობამ უკვე მიიღო რეპრესიული ზომები.

◆ დუშეთის მაზრაში სახალხო მილიციის ინსტრუქტორი ოფიცრები ჯერ კიდევ არ მისულან. რაიც ძლიერ აფერხებს სახალხო მილიციის მოწყობის საქმეს. ამ გარემოებას ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციამ უნდა ყურადღება მიაქციონ და დაუყონებლივ გაგზავნოს დუშეთში ინსტრუქტორი ოფიცრები.

ს. საგურამო.

◆ ეროვნულმა საბჭომ სახალხო მილიციის მოსაწყობად საგურამოს რაიონში დანიშნა პორუჩიკი ალექსანდრე ვასილის ძე გორგაძე.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

ორშაბათს, ცხრამეტ მარტს, საღამოს 7 საათზე, პარტიის ბინაზე დანიშნულია ტფილისის საქალაქო კომიტეტის სხდომა. ამხანაგებს ვთხოვთ კრებას აუცილებლად დაესწრან.

—

სამშაბათს, ოც მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე, ნაძალადევის სკოლის შენობაში დანიშნულია ს.-ფედერალისტ მუშათა კლუბის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება. კრების მიზანია მიმდინარე საკითხები და პრეზიდიუმის არჩევა. ამხანაგებს ვთხოვთ კრებას აუცილებლად დაესწრონ.

—

ტფილისის კომიტეტი ამით აცხადებს ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ყოველგვარ ცნობებისათვის და საჭირო განმარტებისათვის უნდა მიმართონ პარტიის ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ., ძველი სემინარიის შენობა) ამხ. პრ. ფანჩულიძეს და ნიკო უსტიაშვილს. კლუბი ღიაა დილის 10 საათიდან 2 საათ. და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე.

—

სოციალისტ-ფედერალისტ მოწაფეთა კრება.

დღეს, დილის 11 საათზე ს.-ფედერალისტთა პარტიის ბიუროში დანიშნულია სოციალისტ ფედერალისტ მოწაფეთა ყველა სასწავლებლის შეერთებული კრება. განსახილველია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ და ნურც დაიგვიანებენ.

საადგილ-მამულო [illegible]

[illegible] შეუდგა [illegible] მიღებული კანონის განხორციელებას. სდგება მთელი შტატი ინსტრუქტორებისა, რომელთაც დავალებული ექნებათ კანონის ცხოვრებაში გატარება. სამინისტრომ შეიმუშავა ინსტრუქცია, რომელიც ოთხს ენაზე დაბეჭდილი დაეგზავნება სათანადო დაწესებულებებს და პირებს სახელმძღვანელოდ.

—

მიწადმოქმედების სამინისტრო ზომებს იღებს, რათა მთელი ტეხნიკური აპარატი, რომელიც კი ამ ჟამად არსებობს, აამოძრაოს, რათა კანონი მალე განხორციელდეს. ამ მიზნით სამიწადმოქმედების სამინისტროების განკარგულებაში გადავა მთელი წყება მიწის მოქმედებისა და აგრონომებისა.

—

მიწადმოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს სხვა და სხვა ადგილებში გაფანტული სამმართველოები მოათავსოს ყოფილ საუფლისწულო მამულების სამმართველოს შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა).

ჯარის-კაცის ხმა

გაზ. „ერთობის“ გასაგონად.

სამშობლო განსაცდელშია, განსაცდელშია ამასადამე რევოლიუციაც. თუ ოსმალეთის ფაშებმა თავისი მურდალი ხელის ფათური დაიწყეს საქართველოს ფარგლებში ეს იმას ნიშნავს, რომ იგივე ხელი ყოველი ფეხის გადადგმაზე სახრჩობელას აღმართავს ყოველი ჭეშმარიტი რევოლიუციონერისა და სოციალისტისათვის, დაგვიბრუნებს იმ შავბნელს, წყევა-კრულვით მოსახსენებელს დროს, რომელიც ხალხს სულს უხუთავდა, ჰპორკავდა, ყელში თოკს უჭერდა; იგივე ხელი ფეხზე წამოაყენებს იმ მემამულეს, რომლის ერთად-ერთს საზრუნავს შეადგენდა ის, თუ როგორის საშუალებით უფრო ადვილად დაემონავებინა მიწის მუშა, გაეთახსირებინა და ჩაეკლა მასში ადამიანური ღირსება; იგივე ხელი წაათამამებს იმ ელემენტს, რომელსაც ქალაქის მუშა ულუთო შრომის მძიმე უღელში ჰყავდა შებმული, დღისა და ღამეს ასწორებინებდა და ყველა ამისათვის ჯილდოდ ორიოდე გროშს გადაუგდებდა; იგივე ხელი თითის ერთის გაქნევით მოსპობს სიტყვის, კრების, ბეჭდვის და სხვა თავისუფლებას; სასწავლებლებისა, წიგნთსაცავისა და ხალხისათვის სასარგებლო სხვა დაწესებულებათა მაგიერ აღმართავს სატუსაღოებს და ადამიანობის გამათახსირებელი ჰარამხანებით მოჰფენს და წაჰბილწავს ტურფა აქამდის ნაკუშენახულს საქართველოს. ერთი სიტყვით უნდა გამოვეთხოვოთ ყველაფერს, რაც რევოლიუციამ მოგვიტანა და რაც კიდევ უნდა მოგვეპოვებინა რა შეადგენს ჭეშმარიტი რევოლიუციონერის, ჭეშმარიტი დემოკრატის, ჭეშმარიტი სოციალისტის მოვალეობას?

სამშობლოს დაცვა მთელი თავისი ძალ-ღონით. აი ერთად ერთი პასუხი ნამდვილის რევოლიუციონერის, ნამდვილის დემოკრატის, ნამდვილის სოციალისტისა. თქვენ, მოქალაქენო, „ერთობის“ რედაქციიდან, შეგნებული გაქვთ ეს მოვალეობა? თითქოს გაქვთ, თითქოს არცა გაქვთ. შეგნებული რომ გქონდეთ, მთელს თქვენს ძალღონეს სამშობლოს დაცვას მოახმარებდით. თქვენს შეუგნებელს მიმდევრებს უფრო არ დაუჩლუნგებდით გონებას, მოყვარეს მტრად არ მოაჩვენებდით, რევოლიუციისა და სამშობლოს დამცველ რაზმთა შორის განთიშვის შეტანას არ ეცდებოდით და პირიქით ეცდებოდით ამ რაზმების შეკავშირებას, შედუღებას, ერთის აზრით გამსჭვალვას. თქვენ კი არ ღალატობთ თქვენს ზნეს—ხალხის გაბიაბრუებას და ატყუებთ გულ-დანდობილს შეუგნებელს მკითხველს და მსმენელს: სოციალისტ ფედერალისტები მოკავშირეობენ გარეშე მტერსაო. და ამას სწერთ იმ პარტიაზე, რომლის მამაკაც წევრთა დიდი ნაწილი უკვე განცხადებულია თავის დასადებად სამშობლოსა და რევოლიუციისათვის. ზოგი ჯარშია ჩაწერილი თავისი ნებით ბრძოლის ველზე გასამგზავრებლად, ზოგი უკვე ბრძოლის ველზე იმყოფება მტრისაკენ მკერდ მიშვერილი, არა სამხედრო კავშირის გასაშლელად, არამედ მისგან ტყვის მისაღებად. გუშინ კი, რა შთაბეჭდილებას სტო-

ვებს თქვენი პროვოკაცია იმ ჯარის კაცზე, რომელსაც თავისი ნებით მიუტოვებია სასწავლებელი, გუთანი, მშობლიური ველ-მინდორი, მამა, დედა, ცოლი, შვილი და ყაზარმაში მისულა, რომ გაწვრთნილ-გაიარაღებული გაეშუროს იქ, საითკენაც მოიწევს მტერი, რომ მტვერსა და ტალახში ამოსვაროს ხალხის თავისუფლება და საცა მშობლებისა და ცოლშვილის ტკბილი საუბრის ნაცვლად ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები დაილაპარაკებს თავისი ცეცხლიანი ენის ტრიალით. მართლაც და, თბილ ალაგას მოკალათებულნო ვაჟ-ბატონებო, მადლობის მაგიერია, რომ რევოლიუციისა და სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლებს თქვენს გულში დაგროვილს ჭუჭყსა და ტალახს ასხამთ თავზე? ეს არის თქვენი წამახალისებელი სიტყვა? ეს არის თქვენი მხარის დაჭერა? სირცხვილი თქვენა. თქვენ ამითი ვითომ პარტიული საქმის გაკეთება გსურთ. მაგრამ საოცარია თქვენი ჭკუის გამჭრიახობის საქმიანობა. ცხოვრების გაკვეთილმა ვერც რამე გასწავლათ, ვერც რამე დაგავიწყებინათ. რატომ არ გაიხსენებთ ხოლმე შეუგნებელი ელემენტის მოტყუებაზე აგებული აგიტაციის შედეგის სიმწვავეს? იმის მაგიერ რომ შეგნება შეგეტანათ ხალხში, მოიგონეთ რამდენი ენერგიის დახარჯვა დაგჭირდათ რომ მოტყუებით თქვენი პარტიის მიმდევართა რიცხვი. გაგემრავლებინათ თქვენს. მიზანს მიაღწიეთ, არჩევნების დროს აუარებელი ხმა მიიღეთ... მაგრამ აბა ახლა კეთილი ინებეთ და ამ საქმისათვის დახარჯული ენერგიის რაოდენობას შეადარეთ რაოდენობა ტყვიის მფრქვეველთა და თოფის ტყვია-წამლისა, მოტყუებით მიმხრობილის შეუგნებელი ელემენტის წინააღმდეგ რომ დაგჭირდათ. აღარ გახსოვთ? მოიგონეთ გორის პოლკი, რომელმაც მთლად 1 ნომერს მისცა ხმა, თქვენი პარტიის სიის ნომერს და რომლის წიინაღმდეგ საჭირო შეიქმნა ნამდვილი სამხედრო ოპერაციის წარმოება. ქუთაისი? ტფილისის. დუშეთი? თელავი? რომელი ერთი დაბა-ქალაქ-სოფელი ჩამოვთვალოთ, ყველგან თქვენი მიმდევრები იყვნენ, რომელთაც გაგიმრავლეს დეპუტატები და რომელთა წინააღმდეგაც დაგჭირდათ ტყვია-წამალი. კმარა! გეყოთ ამდენი გესლისა, შხამისა და ჭუჭყის დაგუბება ხალხში. ნუ თუ იმ საზარელმა საფრთხემ მაინც, კარს რომ მოგვდგომია, ვერ უნდა იმოქმედოს თქვენზე. ნუ თუ ელით იმ დროს, რომ თქვენი კუზი გაასწოროს სამარემ, რომელიც შეიძლება გასთხაროს მტერმა თქვენთვის კი არა საუბედუროდ მთელი ერისათვის.

ვ. ეგნატაშვილი.

მოწოდება

3 მარტს ამ 1918 წლისა სოფ. ზემო-ნიქოზის შეგნებულ პირთა მეთაურობით ადგილობრივ მცხოვრებთა კრება მოხდა. კრების მიზანი იყო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. კრებამ მიიღო რა მხედველობაში დღევანდელი ცხოვრების პირობები და ხალხის კულტურულად დაქვეითება ერთხმად დაადგინა გაიხსნას ს. ზემო-ნიქოზში უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო „ილიას სახელობისა“, მაგრამ, რადგანაც საზოგადოებას მატერიალური მხრივ ძალა არ შესწევს თვით გააფართოვოს აღნიშნული სამკითხველო, მათ, ვინც გამსჭვალულია ხალხის კულტურული განვითარების სურვილით და მათში შეგნების შეტანით, გამგეობა სთხოვს არ დაიშუროს თავიანთი წვლილი კეთილი საქმისათვის და დახმარება აღმოუჩინონ სამკითხველოს ფულის მოგროვებით, წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გამოწერით.

შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით: დაბა ცხინვალი,—სოფ. ზემო-ნიქოზი. მასწავლებელს დ. საძაგლიშვილს სამკითხველოსთვის.

მონდობილობით გამგეობის წევრი **დ. საძაგლიშვილი.**

აღნიშნული სამკითხველოს გამგეობა უმორჩილესად სთხოვს სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდოს ეს მოწოდება.

მოწერილი ამბები.

ქ. ოზურგეთი. უკვე კარგი ხანია რაც გურიამ სახელი გაითქვა თავისი რევოლუციონერობით. ის აძლევდა საუკეთესო შვილებს რევოლუციის სამსხვერპლოზე შესაწირავად.

გურულებმა ახლაც თავდაცვის საქმეში საოცარი გულ-შემატკივრობა გამოიჩინეს. გურულები შეფიცულნი არიან, როგორც ერთი დაიხოცონ სამშობლოსა და რევოლიუციის საკეთილდღეოდ. და რა გასაკვირია, თუ ამ საკითხმა და ყველა გურულის გულში აღგზნებულმა ცეცხლმა, არ დასტოვა იოწაფეთა ცხოვრებაც ხელუხლებლად. ყოველი გურული მოწაფე გრძნობდა, რომ საჭირო იყო სწავლის შეწყვეტა, რადგან სამშობლოს უახლოვდება რევოლიუციის და სამშობლოს მტერი, მთელის მისი საშიშრობით და შედეგებით საჭირო არის ლაშქარში ჩაწერა ან და სოფლად მუშაობა. ყველა ამ მიზეზის გამო ქ. ოზურგეთში მოწვეულ იქნა ყველა სასწავლებლის მოწაფეთა შეერთებული კრება. 1918 წელს 12 მარტს კრება გახსნა ამხ. სიმონ დოლიძემ. თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. ხომერიკი, თანაშემწედ ალ. მალულარია და მდივნად ვ. ინწკირველი მოხსენებას კითხულობს გიმნაზიელი, მიხაკო ხომერიკი. ის აღნიშნავს მდგომარეობას გამო შექმნილ პირობებს, იხსენიებს გურიის კრიტიკულ მდგომარეობას, მუშა ხელის უქონლობას და მოითხოვს შეწყვეტილ იქმნას სწავლა არა უგვიანეს 20 მარტისა, რომ მით მაინც ცოტაოთ აიცილონ მომავალი წლის სიმშილობა. მას ბევრი მოსაზრებები მოჰყავს ზემოხსენებულის დასამტკიცებლად. გამოდიან მოწინააღმდეგენი და ამტკიცებენ საწინააღმდეგოს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია მიხაკო ხომერიკისა და ს. დოლიძისა 24 ხმის წინააღმდეგ რეზოლიუცია შემდეგი შინაარსისა: „ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ კრიტიკულ მდგომარეობას, რომელშიაც არის ჩამარხული ათასგვარი მტრის შუბი, რევოლიუციის და სამშობლოს წინააღმდეგ მომართული და ჩვენც, როგორც მებრძოლნი შვილნი რევოლიუციისა სამშობლოისა და მის ინტერესების დამცველნი, რათა ცოტათ მაინც ავაცილოთ ჩვენს ქვეყანას სიმშილობა, საჭიროდ ვსთვლით დაუყონებლივ შეწყვეტილ იქმნას სწავლა და მივილოთ ზომები შეძლებისა და გვარად, ზემოხსენებულ ინტერესების დასაცავად“.

დასასრულ არჩეული იქნა კომისია სამი კაცისაგან, რომლებსაც დაევალა კრების კანონიერი გადაწყვეტილება ამცნოს სადაც ჯერ არს.

გ. ვაჭრიხშვილი.

—

აფენის ხაზ. (სიღნაღის მაზრა.*) დღეს გასაკვირი არავისთვის არის, თუ სადმე რამე არეულობაა, რადგანაც ასეთმა მოვლენებმა ყველგან იჩინა თავი; განსაკუთრებით გავრცელდა ეს არეულობა ფრონტების დაშლის დღეებიდან. მართალია, ჩვენსკენ ბევრი რამ კარგი გაკეთდა ფრონტიდან დაბრუნებული ამხანაგების დახმარებით. მაგალითად, ყაჩაღებთან ბრძოლაში მათ დიდი დახმარება გაგვიწიეს. თექვსმეტ იანვარს ბრბო ყაჩაღებისა გამოემართა ბაკურციხიდან და გზა და გზა ძარცვავდა იმ განზრახვით, რომ ღამითვე შესეოდენ სოფელს. შეიტყო თუ არა ადგილობრივმა კომისარმა, მიიღო სწრაფი ზომები. გაემგზავრნენ სოფლის ბოლოს ნახევარი ვერსის დაშორებით, წინა რიგი, ექვსი კაცისაგან შემდგარი, შეეფეთა ყაჩაღებს. მოსთხოვეს ვინაობის გაგება, მათ უპასუხეს სროლით. მოყვა ამას დიდი სროლა. უკანა რიგი მეორე სროლაზე შეუერთდა წინას და ყაჩაღებმა იბრუნეს პირი დაბურულ ტყეებში. დატოვეს ბევრი ნაძარცვი საქონელი. ყოველი ეცნობა გურჯაანის რაიონის კომისართ. სამწუხაროთ არავითარი ზომა არ მიუღია დაჭრილ ყაჩაღების აღმოსაჩენად. ჩვენ აღმოვაჩინეთ ორი ყაჩაღი იმ ბრბოდან და გაუგზავნეთ რაიონის კომისარს, თურმე იგიც გაქცევიათ, თუ გაუშვიათ არეულობა და ძარცვა-გლეჯა და მაინც გრძელდება. გაძარცვეს მომხმარებელი საზოგად. „აფენი“-ს თავმჯდომარე, მძარცველები გამოშვებული იქმნენ. განარცვეს აგრედვე ბროლაძეები, გურული, ჭედილაძე და მაჩაიძე და აწამეს: იმის მძარცველებიც გამოუშვეს, ერთი სიტყვით ყველა მაგალითი ამტკიცებს რაიონის კომისარის დაუდევრობას და უყურადღებობას. აი ასეთ გაუსამართლებლობის დროს ხალხიც რასაკვირველია, აირევა, იტყვის პატრონი არა გვყავსო. ამდენი ხანი უყურებდნენ, რომ დამფუძნებელი კრება გვიშველისო; ეხლა ფიქრობენ სეიმი გვიშველისო, მაგრამ უმრავლესობა გაიძახის „მიწა გვინდა, უნდა ვიმუშაოთო!“ მიდიან და იყოფენ სახნავ ველებს. მიწის ასეთი გაყოფა ზოგან შუღლს იწვევს. მაგალითად, აღმოსავლეთით მოსახლეობენ თათრები (კაბალზე), ესენი და ჩვენი ხალხიც ზოგან უდავოდ ინაწილებენ მიწებს და ზოგან დიდ შეხლა-შემოხლას აქვს ადგილი, თუმცა შემდეგ მაინც რიგდებიან და სიმშვიდე მყარდება. ჩრდილოეთით მოსახლეობენ ლეკები, რომლებთან აქამდე კარგი განწყობილება ჰქონდათ ქართველებს. ეხლა კი დღითი დღე იკარგება საქონელი. ყაჩაღობა კვლავ ვრცელდება, როგორც კაბალის ისე ლეკების მხრითაც. თუ ძებნა დაუწყე საქონელს, შეიძლება მოროტგამზრახველი ყაჩაღურად თავს დაგეცეს და წუთი სოფელს გამოგასალმოს. ყოველგვარ შევიწროებას შეიძლება კაცმა გაუძლოს, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ჯეროვანი ყურადღება არ მიექცეს იმ ხმებს, რომელიც აქ დადის: „იმერლობა და ოსობა ალაზანს იქით გადავრეკოთო“, გაიძახიან. მაგრამ ვინ იცის როგორ დატრიალდება საქმე. თითქმის არც ლეკებში, არც თათრებში არ მოიპოვება ინტელიგენტური ძალა რომ შეაგნებინოს რევოლიუციის მნიშვნელობა. საჭიროა ეხლავე იქნან გამოგზავნილი დახელოვნებული პირები, ლეკი და თათარი ორატორები, თუ ეს ეგულებათ ტფილისში. ლეკების და თათრების ეროვნულ საბჭოებს, რომ თავიდან აეცილოდ მომავალი უბედურება. დამმობილება ხშირად გვაქვს მაგრამ ნამირალები არსად არ აკლდებიან. საერთოდ აქ ხალხი ყაჩაღობას შეჩვეულია. აბა რა ქნას თუ შველა არსაიდან არ არი? მთელი ხალხი შეიარაღდა ჩვენ კი შვიდასს კომლზე (ერთი საზოგ.) ისიც ვაი-ვაგლახით ოცი „ბერდენკა“ მოგვცეს. შინაური მდგომარეობა აუწერელია, ეს კუთხე სულ უყურადღებოდ არის მიტოვებული სოფლის კომისარმა თუ კომიტეტებმა, გლეხთა საბჭომ რა ქნას თუ ზევიდან საშველი არაფერი არის. ადგილობრივად, რაც შეუძლიათ, აკეთებენ. აქამდის კარგად მიყავდათ საქმე; აწ კი საქმე არეულობის გამო ცუდად წავა. საჭიროა დახმარება ყოველ მხრით რომ საქმე არ დაინგრეს.

ათასნაირ ცუდ ხმებს აქვს ადგილი: ვითომ ლეკები ამბობენ, ალაზნამდე ჩვენი ადგილიაო: თათრებიც ეგრე ამბობენ, კახელებიც ჩვენი მამა-პაპეულიაო და იმერლობა და ოსობა კი ჩაფიქრებულია რამდენიც გინდა არწმუნო რომ ხმები ჭორებია არა სჯერათ და დაზაფრულიანებულნი მაინც მუშაობით ირთობენ თავს. კარგი იქნებოდა, დღევანდელ მთავრობას რომ დროებითი კანონები შეემუშავებინა მიწის სარგებლობის თაობაზე და გაბედული ნაბიჯი გადაედგა. მიწით რომ დაეკმაყოფილებინათ დღევანდელი შინ დაბრუნებული ჯარის კაცები ამნაირად არეულობას ადგილი არ ექნებოდა. ჩვენში არეულობას ძალიან ერიდება ჭიათურის მაღნებში გამოწვრთნილი იმერლობა,

დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ მიწის საკითხს. განა არაა მიწა? აუარებელია. მაგრამ თათარი, ლეკი, იმერელი, ოსი თუ კახელი ერთი-მეორეს ედავება, არა შე და არა შენო. მიწა ბევრია; მშიერი არავინ დარჩება რომ თავიდან ავიცილოთ მომავალი უბედურება საჭიროა ინტელიგენტური ძალების ჩაყენება მეზობელ თათარ ლეკებში და მით ყოველივე ფათერაკის აცდენა.

—

ს. მანავი და ბურდიანი (ტფილისის მაზრა) სოფლად და ქალაქად ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ძარცვა-გლეჯა. მანავის და ბურდიანის საზოგადოებაშიც დიდის თავისუფლობით თარეშობენ ქურდ-ბაცაცები, რომელთაც მთლად გაალატაკეს გლეხები: მრავალ გლეხს დაეკარგა ძროხა და საზოგადოდ საქონელი. დიდი ხანია დათარეშობენ ეს ქურდ-ბაცაცები. 14 მარტს ბურდიანელებმა კიდევ დაჰკარგეს ძროხები დაჰკარგეს და ისინი დაედევნენ ქურდებს. გზა და გზა აღმოაჩინეს მათი კვალი: იპოვეს დაკლული ძროხა, შემდეგ ტყავი. როგორც იქნა თვით ქურდებიც იპოვეს. ესენი აღმოჩნდნენ სანდრო კუტივაძე, ვასიკო ბუზიაშვილი და სიმონ ნემსიაშვილი.

---

*) ეს კორესპონდენცია რედაქციამ დაგვიანებით მიიღო.

შემოწირულება

ქართული უნივერსიტეტის წიგნთსაცავს საკლესიო მუზეუმის გამგემ შ. მოსე ჯანაშვილმა კომიტეტის სახელით გადასცა მუზეუმის სხვა და სხვა გამოცემა, სულ 33 წიგნი ღირებული 50 მ. და 95.

აწ განსვენებულმა გიორგი ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილმა უნივერსიტეტის წიგნთსაცავს შემოსწირა 41 ფრანგული საექიმო წიგნები.

—

ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ. 18 იანვარს ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კორპორაციისაგან გამართული საღამოს წმინდა შემოსავალი 5510 მ.

—

ხონის ქალაქის მოურავის ი. თ. ჭავჭავაძისაგან ადგილობრივ სასწავლებლების მოწაფეთა მიერ ყულაბებით შეგროვებული 667 მ. და 81 კ.

—

გრიგოლ ქაჯაიასაგან სოფ. ჭაგანში (ქუთაისის მაზრა) შეკრებილი 354 მ. და 60 კ. სია შემომწირველთა: გრ. ქაჯაია 200 მ. აკეფსიმე შენგელია 50 მ. თითო თუმანი: ალ. ქაჯაიამ, კირ. არველაძემ, ვლ. ვლ. ქაჯაიამ, ნესტორ ქაჯაიამ და შაგრემან ჟორდანიამ, ხუთ ხუთი მანეთი: კონსტ. ქაჯაიამ, ანდრია ქაჯაიამ, ევგენ ქაჯაიამ, ალექსი ბარამიძემ და იორდ. ყაჭეიშვილმა, სამი მანეთი დარისპან ქაჯაიამ, ორორი მანეთი: იოანა ქაჯაიამ, ვასილ ფოცხვერიამ და ნიკიფ. არველაძემ, 20 მ. და 60 კ. ჭაგანის ეკლესიის მღვდელმა ჩაგანავამ მის მიერ შეკრებილი. ალექსანდრე სპ. ზეგნიძისაგან ათასი მანეთი, ისიდორე გიორ. კოსტავასაგან ასი მ. გიორგი თად. ბოჭორიძისაგან კაჭრეთის მომხმარებელ საზოგადოების სახელით ორასი მ. ლუარსაბ კარბელაშვილისაგან მეორე სამილიციო კომისარიატის [illegible] შორის შეგროვილი 189 მ. ანნა და ივანე ზედგინიძეთაგან 500 მ. ალ. ცხაკაიასაგან ორასი მ.

ჩვენი ფოსტა.

„ხალხის მეგობრის“ რედაქციას. თქვენი გაზეთი არ მოგვდის. გთხოვთ წესიერად გზავნოთ თქვენი გაზეთი.

გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

მარტის 20 გაიხსნება
ექიმ. მ. მძინარაშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის

სავადმყოფოში იარსებებს კბილის სამკურნალო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და „კიროჩკინის“ ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩკინის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფთა მიღება—საღამოს 4—8 მდის.
ღარიბები უფასოთ კვირაობით, 10—12 მდე. 327

საბუღალტრო კურსები
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოზის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14. კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
ნ. გ. მრევლიშვილი
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებლის და ინტერნად კიევის ქალაქის სავადმყოფოს მიიღებს საბებიოდ საშვილოსნო ავადმყოფთ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22. ვორონცოვის ძეგლის ახლო. 193

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 [illegible] 1002

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
ყოფილი ორდინატორი ტფილისის ქალაქის სავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგეევის ქ. № 1. ტელ. 16—67 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 6—8 საათამდე. პაველოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და სისხლის კლინიკებისა. სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებათა იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდი, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქარო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67. [illegible] 1030

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
[illegible] („606“ და „914“ შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ბ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილით 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

მოსკოვის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
გ. გ. მუქრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—ღვიძლის და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით, დიდი სოლუქსი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ათაშანგი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

„სახალხო საქმი“-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I	4 „
გრდემლი წ. I	3 „
ქართველი მწერლები.	2 „
უცხოეთის „	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა“.	— 60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე“	1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“	— 40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“	— 50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14

სტამბა ასრულებს ყოველ
გვარ სასტამბო საქმეებს
სუფთად, იაფად და თავის
დროზე